სასწავლო მოდული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის არჩევნების უსაფრთხოება

თავისუფალი, სამართლიანი და ასანდო არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია უსაფრთხო საარჩევნო გარემოს შექმნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს ამომრჩეველთა აქტივობაზე, არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობასა და საზოგადოების მხრიდან ამ შედეგებისადმი ნდობაზე.

უსაფრთხო და მშვიდობიანი საარჩევნო გარემო გულისხმობს ისეთი პირობების უზრუნველყოფას, რაც ქმნის ძალადობისა და ზეწოლის გარეშე ამომრჩევლის კონსტიტუციური უფლების რეალიზების შესაძლებლობასა და გარანტიას არჩევნებში ჩართული მხარეების მიერ საქმიანობის სრულყოფილად განსახორციელებლად. ზემოაღნიშნული პირობების უზრუნველყოფა არჩევნებში ჩართული ყველა მხარის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს კარგ დაგეგმვას, რომელიც პირველ ეტაპზე მოიცავს რისკების გამოვლენასა და შეფასებას, ხოლო შემდგომ პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სწორად განსაზღვრას.

არჩევნების უსაფრთხოების გეგმის განხორციელება თავის მხრივ უკავშირდება ეფექტიანი კომუნიკაციის აუცილებლობას საარჩევნო ადმინისტრაციასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის.

წარმოდგენილი სასწავლო მოდული მოიცავს მითითებებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთათვის:

- ☑ კენჭისყრის დღემდე პერიოდში არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
- ☑ კენჭისყრის დღეს არჩევნების უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

კენჭისყრის დღემდე პერიოდში არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები

კენჭისყრისთვის მზადების და მისი ჩატარების მიზნით საუბნო საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიისგან იღებს საარჩევნო ინვენტარსა და დოკუმენტაციას. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პირადად აგებს პასუხს ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ბიულეტენების, სპეციალური ჩარჩო-კონვერტების, საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალური ბეჭდის, შემაჯამებელი ოქმის და სხვა საარჩევნო საბუთების შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის.

1. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარის, საარჩევნო დოკუმენტაციის ტრანსპორტირებისას იქმნება მათი დროულად მიტანის შეფერხების, დაზიანების, ან განადგურების საფრთხე, იმოქმედეთ ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

1.1. თუ ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარის, დოკუმენტაციის საუბნო საარჩევნო კომისიაში მიტანას ხელს უშლის მოქალაქეთა მიერ მისასვლელი გზის გადაკეტვა:

- ეცადეთ განუმარტოთ მოქალაქეებს სიტუაცია;
- არ დატოვოთ ელექტრონული აპარატები, საარჩევნო ინვენტარი და საარჩევნო დოკუმენტაცია უმეთვალყურეოდ;
- მოქალაქეების მხრიდან თქვენი თხოვნის უგულებელყოფის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
- ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2. თუ ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარის, საარჩევნო დოკუმენტაციის საუბნო საარჩევნო კომისიაში მიტანას ხელს უშლის მოქალაქეთა მიერ მისასვლელი გზის გადაკეტვა აშკარად გამოხატული მართლსაწინააღმდეგო მიზნით, რომ მოხდეს ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარის, დოკუმენტაციის გატაცება, დაზიანება ან განადგურება:

- დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
- ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად;
- არ დატოვოთ ელექტრონული აპარატები, საარჩევნო ინვენტარი/ დოკუმენტაცია უმეთვალყურეოდ;
- შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ ფაქტის დაფიქსირება ვიდეო გადაღებით (გამოიყენეთ ტელეფონი, ან კამერა).

1.3. თუ ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარის, საარჩევნო დოკუმენტაციის საუბნო საარჩევნო კომისიაში მიტანას ხელს უშლის ავტოსაგზაო ინციდენტი:

- დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
- ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად;
- უზრუნველყავით ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარის, დოკუმენტაციის დაცვა და არ დატოვოთ უმეთვალყურეოდ;
- შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ თვითმხილველების იდენტიფიცირება;
- შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ მძღოლის იდენტიფიცირება;
- შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ ფაქტის დაფიქსირება ვიდეო გადაღებით (გამოიყენეთ ტელეფონი, ან კამერა).

2. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარის, დოკუმენტაციის შენახვისას იქმნება მათი დაზიანების, ან განადგურების საფრთხე, იმოქმედეთ ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

2.1. თუ შენობა არ იძლევა ელექტრონული აპარატების, საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო შენახვის გარანტიას, საოლქო საარჩევნო კომისიასთან შეთანხმებით მოითხოვეთ შენობის დამატებითი დაცვა და აღნიშნულის თაობაზე აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს.

2.2. თუ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ან უშუალოდ შენობაში გაჩნდა ხანძარი:

- დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს;

- ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიის, სამართალდამცავი ორგანოების და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად;
- შესაძლებლობის ფარგლებში, ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარი და დოკუმენტაცია გადაიტანეთ უსაფრთხო ადგილზე.

2.3. თუ შენობა დაზიანდა სტიქიით, ან შეიქმნა მისი დაზიანების რეალური საფრთხე (წყალდიდობა, ძლიერი წვიმა, ქარი):
- დაუყოვნებლივ აცნობეთ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს;
- ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიის, სამართალდამცავი ორგანოების და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად;
- შესაძლებლობის ფარგლებში ეცადეთ ელექტრონული აპარატები, ინვენტარი და დოკუმენტაცია გადაიტანოთ უსაფრთხო ადგილზე.

კენჭისყრის დღეს არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და მისთვის პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისათვის.

კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსების შენობიდან დამრღვევის გაძევების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საუბნო საარჩევნო კომისია, რაზედაც დგება შესაბამისი აქტი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. აქტში აღინიშნება დამრღვევის სახელი და გვარი, საარჩევნო ოლქისა და უბნის ნომრები, დარღვევის არსი და მისი ჩადენის ზუსტი დრო.

1. იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის შენობაში საფრთხე ექმნება კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობას ან/და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფას, იმოქმედეთ ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

1.1. თუ მოქალაქე ან მოქალაქეთა ჯგუფი, კომისიის თავმჯდომარის მითითების მიუხედავად, **უკანონოდ, ძალის გამოყენებით ცდილობს კენჭისყრის შენობაში შეჭრას:**
- დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
- ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად;
- შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ ფაქტის დაფიქსირება ვიდეო გადაღებით (გამოიყენეთ ტელეფონი, ან კამერა);
- საჭიროების შემთხვევაში, ჩაკეტეთ კენჭისყრის ოთახში შესასვლელი კარი;
- დარღვევის აღკვეთისთანავე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას.

გაითვალისწინეთ

კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა.

კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის, კენჭისყრის შეწყვეტის, ან შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის.

კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის შემთხვევაში, კენჭისყრის შეწყვეტისთანავე, ან შეჩერებისთანავე საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება კომისიის თავმჯდომარის შესაბამისი გადაწყვეტილების დადასტურების, ან გაუქმების შესახებ.

კენჭისყრის შენობის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად განკარგულებით იღებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

კენჭისყრის შეჩერების შესახებ კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების დადასტურების ან გაუქმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება აღინიშნება ჩანაწერთა წიგნში, მიეთითება კენჭისყრის შეჩერების მიზეზი და დრო, რაც დადასტურდება კომისიის წევრთა ხელმოწერებით.

კენჭისყრის შეწყვეტის შესახებ კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების დადასტურების ან გაუქმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება მიიღება განკარგულებით, რომელშიც აღინიშნება კენჭისყრის შეწყვეტის მიზეზი და დრო.

კენჭისყრის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრისთანავე კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით კენჭისყრა განახლდება. თუ კენჭისყრა შეწყვეტილად გამოცხადდა, იგი აღარ განახლდება.

1.2. თუ მოქალაქის/მოქალაქეთა ჯგუფის ან კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირის მიერ კომისიის წევრთან **ურთიერთშელაპარაკების გამო ირღვევა კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობა**, იმოქმედეთ ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

- წესრიგის დამრღვევ პირებს მიუთითეთ კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვისკენ და განუმარტეთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება გაძევება კენჭისყრის შენობიდან;
- მოთხოვნის უგულებელყოფის შემთხვევაში, კომისიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კენჭისყრის შენობიდან დამრღვევის გაძევების შესახებ, რაზეც დგება შესაბამისი აქტი;
- თუ დამრღვევი არ ემორჩილება კომისიის გადაწყვეტილებას გაძევების შესახებ, დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
- ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად;
- შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ ფაქტის დაფიქსირება ვიდეო გადაღებით (გამოიყენეთ ტელეფონი, ან კამერა);
- უზრუნველყავით ელექტრონული აპარატების, საარჩევნო დოკუმენტაციის (საარჩევნო ბიულეტენების) და საარჩევნო ყუთების დაცვა;
- საჭიროების შემთხვევაში, ჩაკეტეთ კენჭისყრის ოთახში შესასვლელი კარი;
- დარღვევის აღკვეთისთანავე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას.

1.3. თუ მოქალაქემ/მოქალაქეთა ჯგუფმა ან კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირმა სცადა **საარჩევნო ბიულეტენების/დოკუმენტაციის კენჭისყრის შენობიდან უკანონო გატანა, საარჩევნო ყუთის/ყუთების ლუქის მთლიანობის დარღვევა, ელექტრონული აპარატების, საარჩევნო დოკუმენტაციის ან საარჩევნო ყუთის/ყუთების დაზიანება, საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაყრა (იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის პროცესი მიმდინარეობს ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების გარეშე),** იმოქმედეთ ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

- შეაჩერეთ სამართალდამრღვევი;
- დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
- ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად;
- საჭიროების შემთხვევაში, ჩაკეტეთ კენჭისყრის ოთახში შესასვლელი კარი;
- შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ ფაქტის დაფიქსირება ვიდეო გადაღებით (გამოიყენეთ ტელეფონი, ან კამერა);
- დარღვევის აღკვეთისთანავე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას.

1.4. თუ მოქალაქე/მოქალაქეთა ჯგუფი ან კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირი კენჭისყრის შენობაში აწარმოებს ფოტოვიდეო გადაღებას ფარულობის პრინციპის დარღ**ვევით, ეწევა აგიტაციას, ახდენს ზეწოლას ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენაზე ან/და ახდენს ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხებას,** იმოქმედეთ ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

- შეაჩერეთ სამართალდამრღვევი;
- დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
- ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად;
- საჭიროების შემთხვევაში, ჩაკეტეთ კენჭისყრის ოთახში შესასვლელი კარი;
- შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ ფაქტის დაფიქსირება ვიდეო გადაღებით (გამოიყენეთ ტელეფონი, ან კამერა);
- დარღვევის აღკვეთისთანავე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას.

1.5. თუ მოქალაქემ/მოქალაქეთა ჯგუფმა ან კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირმა სცადა **კომისიის საქმიანობისთვის ხელის შეშლა ან საქმიანობაში ჩარევა, რამაც შექმნა კენჭისყრის პროცესის შეფერხების, ჩაშლის ან შედეგებზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხე,** იმოქმედეთ ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

- წესრიგის დამრღვევ პირებს მიუთითეთ კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვისკენ და განუმარტეთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება გაძევება კენჭისყრის შენობიდან;
- მოთხოვნის უგულებელყოფის შემთხვევაში, კომისიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კენჭისყრის შენობიდან დამრღვევის გაძევების შესახებ, რაზეც დგება შესაბამისი აქტი;
- თუ დამრღვევი არ ემორჩილება კომისიის გადაწყვეტილებას გაძევების შესახებ, დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით;
- ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ ფაქტის დაფიქსირება ვიდეო გადაღებით (გამოიყენეთ ტელეფონი, ან კამერა);
- უზრუნველყავით ელექტრონული აპარატების, საარჩევნო დოკუმენტაციის (საარჩევნო ბიულეტენების) და საარჩევნო ყუთის/ყუთების დაცვა;

- საჭიროების შემთხვევაში, ჩაკეტეთ კენჭისყრის ოთახში შესასვლელი კარი;
- დარღვევის აღკვეთისთანავე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას.

გაითვალისწინეთ

კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოების დაცვის მიზნით კენჭისყრის შენობაში გამოძახებულ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს საგამოძიებო მიზნებისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე8 მუხლის 25ე პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის კაბინის გარდა და საარჩევნო პროცესის ხელის შეშლის გარეშე, უფლება აქვთ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება მათ ხელთ არსებული ნებისმიერი ჩამწერი საშუალებით (სამხრე ვიდეოკამერა, მობილური ტელეფონი, პლანშეტი).

1.6. თუ კენჭისყრის დღის განმავლობაში კ**ენჭისყრის ოთახში გაითიშა ელექტროენერგია:**
- ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
- იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად;
- უზრუნველყავით ელექტრონული აპარატების, საარჩევნო დოკუმენტაციისა (ბიულეტენების) და საარჩევნო ყუთის/ყუთების დაცვა;
- საჭიროების შემთხვევაში ჩაკეტეთ კენჭისყრის ოთახში შესასვლელი კარი.

1.7. კენჭისყრის შენობის **მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ან დარღვევის საფრთხის არსებობის შემთხვევაში,** იმოქმედეთ ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:
- დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
- ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.8. იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის შენობის **მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქის/ მოქალაქეთა ჯგუფის ყოფნამ, მისი ქმედებიდან გამომდინარე, შეიძლება საარჩევნო პროცესის ბლოკირება გამოიწვიოს ან/და მოახდინოს ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება,** იმოქმედეთ ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:
- დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
- ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.9. იმ შემთხვევაში, **თუ არსებობს არჩევნების უსაფრთხოების დარღვევის საფრთხის შესახებ ინფორმაცია ან/და საეჭვო ფაქტობრივი გარემოება (მათ შორის, მასობრივი თავშეყრა, ან მასობრივი გადაადგილება კონფლიქტის გარეშე), რომელიც დიდი ალბათობით არ მიუთითებს მოსალოდნელ უშუალო/მყისიერ საფრთხეზე, თუმცა ამავე დროს არ გამორიცხავს არჩევნების უსაფრთხოების დარღვევის რისკს,** იმოქმედეთ ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:
- დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
- ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

გაითვალისწინეთ

დარღვევის აღკვეთისთანავე და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიას. გამონაკლის შემთხვევაში, კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ არა საკუთრივ კენჭისყრის შენობაში, პოლიციის მუშაკები შეიძლება იმყოფებოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნისა და თანხმობის გარეშეც, თუ ეს სრულიად აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისათვის ან დაცვისათვის. ასეთი აუცილებლობის აღმოფხვრისთანავე პოლიციის მუშაკებმა უნდა დატოვონ კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორია.

2. იმ შემთხვევაში, თუ საოლქო საარჩევნო ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარის/დოკუმენტაციის გადაცემის მიზნით ტრანსპორტირებისას იქმნება მათი დროულად მიტანის შეფერხების, დაზიანების, ან განადგურების საფრთხე, იმოქმედეთ ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

   2.1. თუ ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარის, დოკუმენტაციის საოლქო საარჩევნო კომისიაში მიტანას ხელს უშლის მოქალაქეთა მიერ მისასვლელი გზის გადაკეტვა:
   - ეცადეთ განუმარტოთ მოქალაქეებს სიტუაცია;
   - არ დატოვოთ ელექტრონული აპარატები, საარჩევნო ინვენტარი და საარჩევნო დოკუმენტაცია უმეთვალყურეოდ;
   - მოქალაქეების მხრიდან თქვენი თხოვნის უგულებელყოფის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
   - ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
   - იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

   2.2. თუ ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარის, საარჩევნო დოკუმენტაციის საოლქო საარჩევნო კომისიაში მიტანას ხელს უშლის მოქალაქეთა მიერ მისასვლელი გზის გადაკეტვა აშკარად გამოხატული მართლსაწინააღმდეგო მიზნით, რომ მოხდეს ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარის, დოკუმენტაციის გატაცება, დაზიანება ან განადგურება:
   - დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
   - ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
   - იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად;
   - არ დატოვოთ ელექტრონული აპარატები, საარჩევნო ინვენტარი/დოკუმენტაცია უმეთვალყურეოდ;
   - შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ ფაქტის დაფიქსირება ვიდეო გადაღებით (გამოიყენეთ ტელეფონი, ან კამერა).

   2.3. თუ ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარის, დოკუმენტაციის საოლქო საარჩევნო კომისიაში მიტანას ხელს უშლის ავტოსაგზაო ინციდენტი:
   - დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს;
   - ინფორმაცია მიაწოდეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
   - იმოქმედეთ საოლქო საარჩევნო კომისიისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად;
   - უზრუნველყავით ელექტრონული აპარატების, საარჩევნო ინვენტარის, დოკუმენტაციის დაცვა და არ დატოვოთ უმეთვალყურეოდ;

- შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ თვითმხილველების იდენტიფიცირება;
- შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ მძღოლის იდენტიფიცირება;
- შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინეთ ფაქტის დაფიქსირება ვიდეო გადაღებით (გამოიყენეთ ტელეფონი, ან კამერა).

არჩევნების უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიამ სამართალდამცავ ორგანოებს უნდა მიაწოდოს „112“ში შეტყობინების გადაცემით, ან პირდაპირი შეტყობინების გზით.